კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. #25–ის (თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი) მიმდებარედ არსებული სკვერების (შენობის მარცხნივ და მარჯვნივ) მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #1

ქ. თბილისი **23.04.2014წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

პაპუნა პეტრიაშვილი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის მერის მოადგილე;
გიორგი ქორქაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი;
ბორის ჟღენტი – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლევან ებანოიძე – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ბაღ-სკვერების, მოედნების, ფერდობების, გაზონების, ყვავილნარების, ლანდშაპტების ექსპლუატაციის, აღდგენისა და მოწყობის განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. #25–ის (თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი) მიმდებარედ არსებული სკვერების (შენობის მარცხნივ და მარჯვნივ) მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის, გიორგი ქორქაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა: ა) საკონკურსო განცხადების პროექტი და ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტები, კომისიის თავმჯდომარემ ასევე დადებითად შეაფასა საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

კომისიამ დაადგინა:

1) დამტკიცდეს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის (იხ. დანართი N1 და N2) წარმოდგენილი ვარიანტი;
2) საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge–ის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე **/პაპუნა პეტრიაშვილი/**

კომისიის წევრი **/გიორგი ქორქაშვილი/**

კომისიის წევრი **/ბორის ჟღენტი/**

კომისიის წევრი **/ლევან ებანოიძე /**